

**პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის
ქცევის კოდექსი**

I. შესავალი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (შემდგომში - თსა) წარმოადგენს თვითმმართველობის პრინციპით მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალით და თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და თსა-ს მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე.

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია მიისწრაფვის აკადემიური ქმედებისა და ეთიკის საერთაშორისო ნორმების დანერგვისაკენ შემდეგი მიმართულებებით:

- სტუდენტებისა და პერსონალის განათლება და ტრენინგი
- პაციენტთან ურთიერთობა და მოვლა
- სამეცნიერო კვლევა
- საზოგადოების მიმართ სამსახური

ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, თსა-ს როგორც ადმინისტრაციული, ასევე პედაგოგიური პერსონალი და სტუდენტები, ვალდებული არიან დაიცვან ქვემოთ ეთიკის კოდექსი კოლეგებთან, სტუდენტებთან, რეზიდენტებთან, მკვლევარებთან, პაციენტებთან და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან ურთიერთობისას.

II. კოდექსის მიზნები:

ქვემდებარე კოდექსი პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიზანად ისახავს, დაარეგულიროს და გააცნოს აკადემიის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ/პედაგოგიურ პერსონალს და აკადემიის მოღვაწეობაში ჩართულ სხვა პირებს აკადემიის პოზიცია შემდეგი მიმართულებებით:

1. აკადემიური მთლიანობის პოლიტიკის არსი და აკადემიური ქმედების მიზანშეწონილი ნორმები;
2. არამართლზომიერი ქმედებებისა და გადაცდომის არსი და კლასიფიკაცია;
3. სტუდენტების ან პერსონალის მიერ გადაცდომის ან არამართლზომიერი ქმედების ეჭვის არსებობის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები;
4. არსებული ეჭვის დადასტურების შემთხვევაში მიზანშეწონილი ღონისძიებები და საჯარიმო სანქციები;
5. ადმინისტრაციული და აკადემიური გადაცდომების შესახებ აკადემიური პროცესის წევრთა ინფორმირება და მათი პრევენცია.

ქვემდებარე დოკუმენტის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს აკადემიის მიზანი, დანერგოს და უზრუნველყოს მაღალი დონის განათლება, მოახდინოს სტუდენტების და პერსონალის ინფორმირება აკადემიური ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ და შეუქმნას მათ წარმოდგენა აკადემიაში არსებული სასწავლო-კვლევითი შესაძლებლობების შესახებ.

ქვემდებარე კოდექსი ემსახურება აკადემიური მთლიანობის პოლიტიკის დანერგვას და პროფესიული ქცევათა ნორმების რეგულირებას სტუდენტებისა და პერსონალისათვის.¹

III. კოდექსის მოქმედების სფერო

კოდექსის მოქმედების სფერო ვრცელდება:

¹ეთიკის კოდექსი შემუშავებულია და შთაგონებულია State University of New York at Stony Brook-ის, Keele University-ს და Ryerson University-ს ეთიკის კოდექსითა და აკადემიური ინტეგრაციის რეგულაციების მაგალითით.

- აკადემიის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი;
- აკადემიის დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი საფეხურის სტუდენტები;
- პირი, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო კვლევას, ან კვლევით კომპონენტს აკადემიის ბაზაზე;
- პირი, რომელიც აკადემიის ბაზაზე გადის სტაჟირებას ან სასერტიფიკატო კურსს.

აკადემიის სტუდენტები და პერსონალი როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად ვალდებული არიან დაიცვან აკადემიაში არსებული პროფესიული ქცევის ნორმები და პატივი სცენ აკადემიის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას.² კოდექსის ნაწილი, რომელიც განიხილავს პირთა შორის ურთიერთობებს, პროფესიულ იდეალებს, კონფიდენციალობასა და ინტერესთა კონფლიქტს, მართებულია ყველასათვის, განურჩევლად სტატუსისა და მოღვაწეობის სფეროსი.

სტუდენტი და პერსონალი ვალდებულია თავი შეიკავოს ქმედებებისაგან, რომელთა შესახებაც იციან, ან უნდა იცოდნენ, რომ ეწინააღმდეგება აკადემიის აკადემიურ მთლიანობას.

IV. ტერმინთა განმარტება³

აკადემიური მთლიანობა - პროფესიული ქმედების კოდექსი ან აკადემიის ეთიკური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ღირებულებებს, როგორცაა თაღლითობისა ან პლაგიატზმის თავიდან აცილება; აკადემიური სტანდარტების შენარჩუნება, განმტკიცება-გაუმჯობესება და სამეცნიერო კვლევის კეთილსინდისიერება.

არამართლზომიერი ქმედება - არასათანადო ქმედება, რომელიც განპირობებულია გულგრილობით ან/და დაუდევრობით და არ განხორციელდებოდა ანალოგიურ სიტუაციაში გონივრული და კომპენტენტური პირის მიერ. (negligence)

გადაცდომა-სტუდენტის ან/და პერსონალის მიერ განხორციელებული მიუღებელი ან არასათანადოსაქციელი, რომელიც იწვევს დისციპლინურ (ადმინისტრაციულ ან/და ფინანსურ) პასუხისმგებლობას (misconduct)

დისკრიმინაცია - ქცევა, რომელიც მიმართულია ეროვნული, რელიგიური ან რასობრივი მტრობის ან/და განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით. დისკრიმინაციად ითვლება: რასის, კანისფერის, სოციალურიკუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ან/და იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება.

დისციპლინური პასუხისმგებლობა - პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახე, რომელიც დგება პერსონალის ან სტუდენტის მიერ აკადემიის შიდა რეგულაციით განსაზღვრული წესების დარღვევის დროს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება გამოყენებულ იქნას: შენიშვნა; გაფრთხილება; ხელფასის დაკავება; ფინანსური სანქცია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით; სამსახურიდან გათავისუფლება, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა. ერთი დისციპლინური

²გამომდინარე სამედიცინო საქმიანობისა და სწავლების ფართო დიაპაზონიდან, კოდექსის რიგი მუხლები სპეციფიკის მიხედვით უფრო მეტად მისადაგებულია სამიზნე დისციპლინასთან.მაგალითისათვის: კოდექსის მუხლები, რომლებიც მოიცავს კლინიკურ ნაწილს, მართებულია უპირატესად სტუდენტებისა და იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის, ვინც მონაწილეობს კლინიკური დისციპლინების განხორციელებაში და რომელთა სასწავლო კურსიც ხორციელდება უშუალოდ კლინიკებში. ანალოგიურად, მუხლები, რომლებიც ეხება სწავლებასა და კვლევას, ეხებათ ყველას, ვინც ჩართულია აღნიშნულ პროცესებში. კოდექსის ნაწილი, რომელიც ეხება სტუდენტებს, ვრცელდება როგორც დიპლომამდელი, ასევე დიპლომის შემდგომი პროგრამის სტუდენტებსა და მკვლევარებზე.

³თოდუა,ერგემლიძე, და სხვ; „ძირითადიურიდიულტერმინთაგანმარტებითილექსიკონი“, თბილისის სააპელაციო სასამართლო, (2010)

გადაცდომის მიმართ შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხისმგებლობის ზომა იქნას გამოყენებული.

ზიანი-მატერიალური დანაკლისი, ფიზიკური ან მორალური ტრავმა.

თაღლითობა-მიუღებელი ქმედება, რომლისდროსაც პირი არაკეთილსინდისიერი გზით მოიპოვებს უპირატესობას ან უფლებას ხვის საკუთრებას.

თვითაცილება (აცილება) - ვითარება, როდესაც წინასწარი მოკვლევის ოფიცერი საკუთარ თავს უცხადებს აცილებას არსებული ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

ინტერესთა კონფლიქტი - რეალური ან შესაძლო წინააღმდეგობა პიროვნების კერძო ინტერესსა და მის პროფესიულ ვალდებულება სშორის.

კოდექსი - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც აერთანებს აკადემიის არსებულ ქცევას და პროფესიულ მოვალეობათა ნორმებს, რომელიც ემსახურება დაწესებულებაში აკადემიური პოლიტიკის განმტკიცებას.

კომიტეტი - წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც რომელიც შედგება ადმინისტრაციული, აკადემიური და ფინანსური პერსონალისაგან. კომიტეტის ყრილობის მოწვევა შესაძლებელია როგორც სრული, ასევე არასრული შემადგენლობით, გამომდინარე მიმდინარე საქმის ხასიათიდან და სიმძიმეიდან.

კომპენსაცია - ფინანსური სანქციის სახე, რომელიც ეკისრება დამრღვევს თსა-ს ქონებისათვის ზიანის მიყენების ან განადგურების შემთხვევაში.

მოპასუხე - პირი, რომლის მიმართაც არსებობს არამართლზომიერი ქმედების ან გადაცდომის ეჭვი.

მოკვლევა - ქმედება, რომელიც ტარდება მტკიცებულებათა შეკრების მიზნით.

მოსმენა - (იგივე ადმინისტრაციული სხდომა, ადმინისტრაციული შეხვედრა ან ფორმალური შეხვედრა) ფორმალური პროცესი, რომელიც წარმოებს მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით და რომლის მიზნია გადაცდომის ფაქტის განხილვა, მხარეთა მოსმენა და მიუკერძოებელი შეფასება.

მტკიცებულება- მიმდინარე საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მოხერხდება ფაქტების დადასტურება ან უარყოფა.

ნორმა - წესდებით ან ჩვეულებით დადგენილი კონკრეტული ქცევის წესი.

პასუხისმგებლობა (სანქცია) - სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოჰყვება პირის არამართლზომიერ ქმედებას ან გადაცდომას. პასუხისმგებლობის სიმძიმე დამოკიდებულია ქმედების საშიშროებასა და სამართალდამრღვევის ბრალეულობის ხარისხზე.

ჯარიმა- პასუხისმგებლობის ფორმა, როდესაც სამართალდამრღვევს ეკისრება ფულადი თანხის გადახდა აკადემიის სასარგებლოდ.

პირობითი პასუხისმგებლობა- ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი, რომ გადაცდომის/არამართლზომიერი ქმედების გამოსწორება შესაძლებელია დანიშნული სანქციის დაკისრების გარეშე. ადმინისტრაციული კომიტეტი ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც დამრღვევი არ უნდა იქნეს შემჩნეული არასათანადო ქმედებაში და პირნათლად უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

საპატიო მიზეზი- ავადმყოფობა, (ობიექტურად დასაბუთებული) ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის მოვალეობათა შესრულებას.

წამქეზებელი- პირი, რომელიც აქტიური ფსიქიკური ან/და სხვა სახის ზემოქმედებით სხვა პირს აღუძრავს არამართლზომიერი ქმედების ან/და გადაცდომის განზრახვას და ამ უკანასკნელის მეშვეობით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს.

წინასწარი მოკვლევა - საგამომებო ოფიცრის მიერ განხორციელებულ ქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია არამართლზომიერი ქმედების ან გადაცდომის დადგენა და მისი ჩამდენი პირის მხილება.

ხულიგნობა-აკადემიის შიდაგანაწესის უხეში დარღვევა, რომლის დროსაც ძალადობით ან ძალადობის მუქარით პირი უხეშად არღვევს წესრიგს და გამოხატავს აკადემიის, მისი პერსონალის ან სტუდენტების მიმართ აშკარა უპატივცემულობას.

ჯგუფური გადაცდომა-არამართლზომიერი ქმედება ან გადაცდომა, რომელსაც ჩადის ორი ან მეტი პირი.

V. აკადემიური მთლიანობის პოლიტიკა და ადმინისტრაციული საკითხები

1. აკადემიური მთლიანობის ფუნდამენტური ღირებულებები:

1.1 ქვემდებარე დოკუმენტი ეფუძნება და ხელს უწყობს აკადემიის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის შემდეგი ღირებულებების გაღვივებასა და განმტკიცებას:

- კეთილსინდისიერება
- სამართლიანობა
- ნდობა
- ურთიერთპატივისცემა
- პასუხისმგებლობა

ჩამოთვლილი ღირებულებების დაცვა აუცილებელია აკადემიის საქმიანობაში ჩართული ყველა პირისათვის, განურჩევლად წოდებისა და საქმიანობის სახისა, იქნება ეს სწავლა, სწავლება, შეფასება, სამეცნიერო კვლევა თუ სხვა სახის საქმიანობა. აღნიშნული ღირებულებები თავის მხრივ მოიცავს ვალდებულებას, რომელთა არასრული ან არაკეთილსინდისიერი შესრულება განისაზღვრება როგორც არამართლზომიერი ქმედება ან გადაცდომა და დასჯადია კოდექსით გათვალისწინებული ზომებით.

1.2 პროცესის სამართლიანობა

აკადემია აცნობიერებს აკადემიური გადაცდომის საკითხის რეგულირების მნიშვნელობას და კონკრეტული ფაქტების არსებობის შემთხვევაში, მიუკერძოებელი და გააზრებული გამოძიების გზით მათი დროულად მართვის მექანიზმის აუცილებლობას. საგამომებო პროცესის ფარგლებში, თითოეული შემთხვევა განხილული იქნება ინდივიდუალურად, მოსმენილი იქნება ორივე მხარის არგუმენტები და გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება კოდექსის შესაბამისად.

აკადემიური გადაცდომის ფაქტის არსებობის დამტკიცების ვალდებულება ეკისრება თსა-ს. მტკიცებულების სტანდარტად მოიაზრება ალბათობათა ბალანსი, რაც ნიშნავს, რომ გადაცდომის ფაქტის არსებობის საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, წარმოდგენილი ინფორმაცია წარმოადგენს გამოძიებისათვის უფრო სარწმუნო საფუძველს, ვიდრე ვარაუდი, რომ სტუდენტს/პერსონალს არ ჩაუდენია არამართლზომიერი ქმედება.

1.3 აკადემიური ინტეგრირებულობის გაცნობიერება

აკადემიის საქმიანობაში ჩართული ყველა პირი, განურჩევლად საქმიანობის სახისა და სტატუსისა, ვალდებულია იცნობდეს ქვემდებარე დოკუმენტით განხილულ ეთიკის პრინციპებს და ფასეულობებს. აკადემიის პერსონალის მიერ ქვევის კოდექსის მიმართ არსებული შეკითხვები, ამ უკანასკნელთა არსებობის შემთხვევაში, განხილული უნდა იყოს აკადემიის ხელმძღვანელობასთან. სტუდენტების მიერ ქვევის კოდექსის მიმართ არსებული შეკითხვები კი განხილული უნდა იქნეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან.

1.4 განათლება და აკადემიური მთლიანობა

სტუდენტთათვის და აკადემიური პერსონალისათვის, რომელიც ჩართულია როგორც დიპლომამდელ, ასევე დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაში, ან/და ახორციელებს სამეცნიერო კვლევას აკადემიის ბაზაზე ან მატერიალურ-ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით, მეტად მნიშვნელოვანია საქმიანობის წარმართვა ეთიკური ნორმების ფარგლებში, როგორც აკადემიის ასევე კლინიკის დებულების შესაბამისად, გამომდინარე საქმიანობის სფეროს სპეციფიკისა და დამოუკიდებლობის ხარისხისა.

1.5 პროფესიული ეთიკის კოდექსი და გადაცდომა

რიგ შემთხვევებში, სტუდენტები ვალდებული იქნებიან დაემორჩილონ პროფესიული ეთიკის კოდექსის სტანდარტებს ან/და ქცევის განაწესს კლინიკური როტაციის ან მოდულის წარმატებით დასრულებისათვის. ასეთ შემთხვევებში, უპირატესობა ენიჭება კლინიკის/ორგანიზაციის წესდებასა და ეთიკურ რეგულაციებს.

2. გადაცდომის არსი და სახეები

გადაცდომა პირობითად შეიძლება დაიყოს *აკადემიურ* და *ადმინისტრაციულ* გადაცდომებად. გადაცდომა შესაძლოა ატარებდეს მხოლოდ აკადემიურ ან ადმინისტრაციულ, ან შერეულ სახეს.

- *აკადემიურ გადაცდომად* მოიაზრება ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება და ხელს უშლის აკადემიის მიერ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სამართლიანად შეფასებას, აძლევს სტუდენტს დაუმსახურებელ აკადემიურ უპირატესობას ან სარგებელს.
- *ადმინისტრაციულ გადაცდომად* (ან დარღვევად) მოიაზრება ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება აკადემიის შიდა განაწესს, ხელს უშლის სამუშაო პროცესის მიმდინარეობას ან მიმართულია აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური საკუთრების ან ინვენტარის დაზიანებისაკენ.

აკადემიურ გადაცდომად მოიაზრება, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი ქმედებანი:

2.1 პლაგიატი - მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:⁴

2.1.1 სხვისი ნაშრომის, განურჩევლად სახისა: სიტყვიერი, თვალსაჩინოებრივი, შემოქმედებითი იდეის სახით და ა.შ, მითვისება, წარდგენა, ციტირება, მათ შორის ინტერნეტით მოძიებული მასალისა, და საკუთრად გასაღება, სათანადო ციტირების გარეშე;

2.1.2 სხვისი ნაშრომის, იდეის, თეორიის, შეხედულების საკუთრად გასაღება, სათანადო ციტირების გარეშე;

2.1.3 სხვა პირის მიერ შრომაში გაწეული კონტრიბუციის, დახმარების, შეტანილი ცვლილებების საკუთრად გასაღება, სათანადო მითითების გარეშე;

2.1.4 ჯგუფური ნაშრომის ინდივიდუალურად და საკუთრად გასაღება;

2.1.5 ერთი და იმავე ნაშრომის ორი ან მეტი სასწავლო კურსის დავალებების ფარგლებში ჩაბარება, აქტივობის ქულების მიღების მიზნით, კურსის

ხელმძღვანელის/განმახორციელებლის წერილობითი თანხმობის გარეშე

2.1.6. სხვისი ნაშრომის მცირედად პერეფრაზირება, სიტყვათა მცირე ნაწილის შეცვლის გზით, თავდაპირველი ნაშრომის და მისი ავტორის სათანადოდ მოხსენების გარეშე

2.2 თაღლითობა - მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

2.2.1 წინასწარი ნებართვის გარეშე, სხვადასხვა მოწყობილობის, მათ შორის უსადენო კომუნიკაციის ხელსაწყოების და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების უნებართვო გამოყენება ტესტური გამოცდის, ქვიზის ან სხვა ნებისმიერი შეფასების პროცესის მიმდინარეობისას;

⁴ პლაგიატი, მისი სახეებით, ასევე პრევენციისა და ამოცნობის მექანიზმებით, განხილულია სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის გზამკვლევაში.

- 2.2.2** სხვა პირის ტესტ-კითხვარის, გამოცდის, ქვიზის, ლაბორატორიული ანგარიშის, პრაქტიკული სამუშაოს ან სხვა ნებისმიერი ნაშრომის პასუხების გადაწერა;
- 2.2.3** ინდივიდუალური დავალების, განურჩევლად მისი სახისა, პასუხების გადაწერა სხვა სტუდენტისაგან, მისი ნებართვით ან ნებართვის გარეშე;
- 2.2.4** გამოცდის მიმდინარეობისას, საგამოცდო სივრცის გარეთ სხვა პირთან კონსულტაცია ან მასალის გადახედვა;
- 2.2.5** საგამოცდო კითხვის გამოტოვება/უპასუხოდ დატოვება და გამოცდის შემდეგ საგამოცდო ნაშრომში ცვლილებების შეტანა, კურსის ხელმძღვანელისა და დეკანისწერილობითი ნებართვის გარეშე
- 2.2.6** სახეცვლილი საგამოცდო ნაშრომის ხელახლა ჩაბარება, უკვე არსებული შეფასების შემდეგ;
- 2.2.7** შეცვლილი, გაყალბებული ან ფალსიფიცირებული კვლევითი მონაცემების ჩაბარება;
- 2.2.8** საგამოცდო ტესტ-კითხვარების, ბილეთების ან სხვა ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი მოპოვება, გამოძალვის, ქურდობის, მოსყიდვის, მუქარის ან სხვა ნებისმიერი ხერხით
- 2.2.9** წინასწარი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში, სხვა სტუდენტის ინდივიდუალურ ნაშრომში სამუშაოს შესრულება და კონტრიბუცია
- 2.3 პირადი მონაცემების ან/და აკადემიური მოსწრების არასწორი ინტერპრეტაცია⁵** - მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
- 2.3.1** სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის, მათ შორის საკურსო ნაშრომის, პრეზენტაციის და ა.შ ფარგლებში ნაყიდი ან ნაპარავი შრომის წარდგენა;
- 2.3.2** სხვა პირის განსახიერება ან სხვა პირის წარმოდგენა განსახიერების მიზნით პირადი, წერილობითი ან ელექტრონული სახით; (ადმინისტრაციულ სასჯელს დაექვემდებარება როგორც განსახიერებული ასევე განმასახიერებელი მხარე)
- 2.3.3** საკუთარი ან სხვა პირის პირადი ინფორმაციის ან/და აკადემიური მოსწრების შეცვლა/არასწორი ინტერპრეტაცია
- 2.3.4** აკადემიური მოსწრების ამსახველი ინფორმაციის შეცვლა ან/და დამალვა, მათ შორის ჩარიცხვის ამსახველი დოკუმენტების, აკადემიური ტრანსკრიპტების, აკადემიის მიერ გაცემული ცნობებისა და წერილების და სხვ.
- 2.4 ცრუ ინფორმაციის ჩაბარება:⁶** - მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
- 2.4.1** აკადემიური უპირატესობის მოპოვების მიზნით სახეცვლილი, ყალბი ან თაღლითური გზით მოპოვებული დოკუმენტების წარდგენა, მათ შორის ჯანმრთელობის ცნობა, სამგზავრო ბილეთი, ფინანსური დოკუმენტაცია და სხვ.
- 2.4.2** სახეცვლილი ან ნაყალბევი საგანმანათლებლო დოკუმენტაციის წარდგენა აკადემიაში ჩარიცხვის ან კრედიტების აღიარების მიზნით.
- 2.4.3** აკადემიის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტის, მათ შორის აკადემიური ტრანსკრიპტის, წერილის, ცნობის, რეკომენდაციის და სხვ. გაყალბება ნებისმიერი სახით;
- 2.4.4** ცრუ, სახეცვლილი ან ნაყალბევი რეკომენდაციის წერილის წარდგენა.
- 2.5 აკადემიური გადაცდომისა და არამართლობიერი ქმედების ხელშეწყობა - მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:**
- 2.5.1** წინასწარი მითითებისა და დეკანატის ნებართვის გარეშე აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის, ასევე სტუდენტების მიერ ერთმანეთისათვის სხვადასხვა წერილობითი ნაშრომის, მათ შორის ესსეების, საგამოცდო ან საკონტროლო კითხვებისა და პასუხების,

⁵ დარღვევა შესაძლოა ატარებდეს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული გადაცდომის სახეს

⁶ დარღვევა შესაძლოა ატარებდეს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული გადაცდომის სახეს

ტესტ-კითხვარების ან სხვა ნებისმიერი დავალების შეთავაზება და გაზიარება; სხვადასხვა ნაშრომის ურთიერთ გაცვლა-გაყიდვა და გაზიარება ნებისმიერი სხვა გზით;

2.5.2 სხვა სტუდენტისაგან ან აკადემიური პერსონალისაგან დახმარების მიღების ნებისმიერი ფორმის მცდელობა, გადაწერა და აკადემიური თაღლითობის ხელშეწყობა საგამოცდო პროცესის, საკონტროლო წერისა და ნებისმიერი სხვა დავალებების შესრულებისას;

2.6 აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური საკუთრების ან ინვენტარის დაზიანება და ზარალი⁷,

2.6.1 აკადემიის ინვენტარის დაზიანება და ზარალის მიყენება, მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

2.6.1.1 აკადემიური უპირატესობის მოპოვების მიზნით სხვა სტუდენტის აკადემიური ნაშრომის შეცვლა/დაზიანება

2.6.1.2 ლაბორატორიული ინვენტარის დაზიანება ან ნებისმიერი სხვა სახით ზარალის მიყენება როგორც პრაქტიკული მეცადინეობებისას, ასევე კვლევითი საქმიანობისას;

2.6.1.3 სხვა სტუდენტის საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, აკადემიის საკუთრების არამნიხნობრივად გამოყენება, სახეცვლა, დამალვა ან სხვა სახით სხვისთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;

2.6.1.4 სასწავლო პროცესთან და სასწავლო კურსებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის, მათ შორის ცხრილების, სილაბუსების, სასწავლო ჰენდაუთების და სხვ. არაავტორიზებული მოპოვება, მათ შორის მოტყუების, გამოძალვის ან ქურდობის გზით, მათი სახეცვლა შემდგომში გამოყენების მიზნით;

2.6.1.5 ბიბლიოთეკის საკუთრების, მათ შორის წიგნების, ბეჭდვითი მასალების, ასევე ელექტრონული რესურსების, მათ შორის ჟურნალების, სტატიების და სხვ. არანებადართული მოპოვება, დაზიანება და ნებისმიერი სახის სახეცვლა, ასევე მათი დამალვა ან განადგურება;

2.6.1.6 აკადემიაში გამოკრული განცხადების, პოსტერის და ა.შ. დახვევა, დაზიანება, მათზე დაწერა და ა.შ.;

2.7 ინტელექტუალური საკუთრების არაავტორიზებული გამოყენება მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

2.7.1 ინტელექტუალური საკუთრების ავტორის ნებართვის გარეშე გავრცელება, გაყიდვა ან ნებისმიერი სახის მოგების მიღების მიზნით გამოყენება, (მატერიალური, აკადემიური და სხვ). აღნიშნული შეეხება აკადემიაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციულ რესურსს, მათ შორის პედაგოგების მიერ გამოყენებულ სლაიდებს, პრეზენტაციებს, მათ ესსეებს და კვლევით ნაშრომებს და სხვ.

2.7.2 ინტერნეტში ან სხვა გარეშე წყაროში არსებული ინფორმაციის გამოყენება არასათანადო ციტირების გარეშე და საკუთრად გასაღება.

2.7.3 ინტელექტუალური საკუთრების კომერციული მიზნით გამოყენება

2.9 ადმინისტრაციული გადაცდომებად მოიაზრება, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

2.9.1 საგამოცდო ცენტრის განაწესის დარღვევა-გადაცდომა, საგამოცდო პროცესის ჩაშლის და ხელის შეშლის მცდელობა, აკადემიური უპირატესობის ან სხვა სტუდენტის დისკრედიტაციის მიზნით;

2.9.2 სხვადასხვა სასწავლო კურსისა და დეპარტამენტის მოთხოვნების, ინსტრუქტაჟისა და განაწესის დარღვევა, მათ შორის ლაბორატორიული და კლინიკური დისციპლინების, როგორც თსა-ში, ასევე აფილირებულ კლინიკებში;

2.9.3 აკადემიის აფილირებულ კლინიკებში პროფესიული ვალდებულებების არასრული დაცვა, პროფესიული გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის დემონსტრირება, ასევე კლინიკის შიდა რეგულაციების და მითითებების უგულვებელყოფა.

⁷ დარღვევა შესაძლოა ატარებდეს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული გადაცდომის სახეს

2.9.4 უხამსი, არაეთიკური ან სხვა სახის ამორალური ქმედება აკადემიის ტერიტორიაზე ან აკადემიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელიც ხელს უშლის პროცესის სათანადოდ წარმართვას, მათ შორის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება ან მათი ქმედების ქვეშ აკადემიაში გამოცხადება.

2.9.6 სტუდენტების პრვოცირება, აზარტული თამაშების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, აკადემიის თანამშრომლებისათვის ხელის შეშლა და სხვ.

2.9.7 არასწორი/ნაყალბევი ინფორმაციის შემცველი საჩივრის წარდგენა პედაგოგის, სტუდენტის ან ადმინისტრაციული პერსონალის წინააღმდეგ;

2.9.8 აკადემიის თანამშრომელთა მოხსენიება მიუღებელი ფორმით და სხვათა წაქეზება ანალოგიური ქმედებისაკენ;

2.9.9 აკადემიის სტუდენტების და პერსონალის დაშინება, ცრუ ინფორმაციის, მუქარის ან სხვა ნებისმიერი სახის ზეწოლის საშუალებით და ამით აკადემიის რეპუტაციისათვის ჩრდილის მიყენება

3. გადაცდომის ხარისხები

3.1 გადაცდომის სიმძიმისა და ხარისხის, ასევე შესაბამისი სანქციების განსაზღვრა ხდება შემთხვევის გარემოებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი კომიტეტის მიერ.

3.2 არამართლზომიერი ქმედებები და გადაცდომები პირობითად იყოფა ორ კატეგორიად: *მსუბუქი* და *მძიმე* ხასიათის. დარღვევა, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის აკადემიის ღირებულებებთან, ან ჩრდილს აყენებს აკადემიის საქმიანობას, კლასიფიცირდება როგორც მძიმე ხასიათის დარღვევა.

3.3 მსუბუქი ხასიათის გადაცდომად ან/და არამართლზომიერ ქმედებად შესაძლოა ჩაითვალოს შემდეგი:

3.3.1 აკადემიის მმართველი გუნდის მითითებების არასათანადო ან არასრული შესრულება

3.3.2 აკადემიის სამართლებრივი რეგულაციების ან/და მოთხოვნების დარღვევა

3.3.3 აკადემიის წესდების, პოლიტიკის, რეგულაციების, წესებისა და პროცედურების უგულებელყოფა

3.3.4 აკადემიის ხელმძღვანელობის, ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების ან სხვათა მიმართ უხეში, გულგრილი და შეურაცხმყოფელი ქცევა, მათ შორის აკადემიის აფილირებული კლინიკების პერსონალის, პაციენტის და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტების მიმართ, რომლებიც მოცემული მომენტისათვის იმყოფებიან იმავე კლინიკაში.

3.3.5 აკადემიის ხელმძღვანელობის, ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის ან სტუდენტების მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან/და სიტყვიერი ხასიათის შეურაცხყოფა, დაშინება ან სხვა სახის ზეწოლა

3.3.6 პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის (ფინანსური, პროფესიული ან პირადული) შესაძლებლობათა უგულებელყოფა და არასათანადო რეაგირება

3.3.7 აკადემიის პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამუშაო და სასწავლო გარემოს უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევა და ამ გზით სხვათა ჯანმრთელობის მდგომარეობის საფრთხის ქვეშ დაყენება

3.3.8 მონაცემთა ან/და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის წესების და პროცედურების უგულებელყოფა ან არასათანადო დამორჩილება

3.3.9 აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებათა დაუმორჩილებლობა ან ნებისმიერი სახის სუბორდინაციის დარღვევა, რამაც შესაძლოა შეარყიოს აკადემიის უფლებამოსილება და ავტორიტეტი

3.3.10 თანამონაწილეობა დისციპლინარულ დარღვევაში

3.3.11 უნივერსიტეტის ქონებისადმი გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი

3.3.12 აკადემიის ტერიტორიაზე ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება, ასევე ზემოქმედებით გამოწვეული მიუღებელი ქცევა ან ქმედითუუნარობა;

3.3.13 აკადემიის მიერ განსაზღვრული ვადების დარღვევა და არასანქცირებული, ან არასაპატიო მიზეზით არგამოცხადება შესაბამისი სტრუქტურის წინასწარი ინფორმირების გარეშე;

3.3.14 აკადემიის ქონების არასანქცირებული ან არამართლზომიერი გამოყენება;

3.3.15 აკადემიის შენობაში თამბაქოს გამოყენება

3.3.16 აკადემიის პროფესიული და აკადემიური სტანდარტების დარღვევა, მათ შორის არასათანადო ჩაცმულობით, საზოგადოებაში ქცევით და სოციალური აქტივობით

3.3.17 აკადემიური და ადმინისტრაციული დარღვევები სამეცნიერო-კვლევით პროცესში;

3.3.18 სხვათა ხელის შეშლა ან ხელის შეშლის მცდელობა; მათ შორის სასწავლო, ასევე ადმინისტრაციული პროცესის საბოტაჟის მცდელობა, დროის გაწელვა/გაყვანა და სხვ.

3.3.19 ნებისმიერი სახის შვებულების, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ორსულობის გამო შვებულების, ასევე სასწავლო პროცესიდან დათხოვნის ბოროტად გამოყენება

3.3.20 ფიზიკური, რელიგიური, ეთნიკური, გენდერული ან ნებისმიერი სხვა ნიშნით დისკრიმინაცია

3.4 მძიმე გადაცდომად შესაძლოა ჩაითვალოს ქვემოთ მოყვანილი დარღვევები. (სიას თვალსაჩინოების ხასიათი აქვს და დარღვევის ხასიათის განსაზღვრა მოხდება ინდივიდუალურად, შემთხვევის სპეციფიკისა და გარემოებების გათვალისწინებით)

3.4.1 გამოცდების, ან სხვა ნებისმიერი სახის შეფასების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, აკადემიური უპირატესობის მოპოვების ან სხვა ნებისმიერი მიზნით; მათ შორის ტესტების, საგამოცდო საკითხების, კითხვარების წინასწარ მიცემა, დეკანის სანქცირების გარეშე

3.4.2 პლაგიატი (იხ 2.1)

3.4.3 აკადემიის რეგულაციებისა და პროფესიული მოვალეობების უხეში დარღვევა, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი, ზიანი ან დანაკარგი; მათ შორის ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაწყვეტა.

3.4.4 მნიშვნელოვან ინტერესთა კონფლიქტში მონაწილეობა ან/და კონფლიქტის გაღვივების ხელშეწყობა

3.4.5 სტუდენტთა გამოცდის შედეგების, ნებისმიერი სხვა სახის ნაშრომის ან შეფასების არასამართლიანი, მიკერძოებული ინტერპრეტაცია

3.4.6 ნებისმიერი სახის თაღლითობა, მათ შორის: კვალიფიკაციის, პროფესიული ვალდებულების შესრულების, ხარჯთაღრიცხვის ან ზეგანაკვეთური ანაზღაურების მოთხოვნის მხრივ;

3.4.7 აკადემიის პერსონალის, სტუდენტებისა და სტუმრების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;

3.4.8 აკადემიის პერსონალის, სტუდენტებისა და სტუმრების პირადი ქონების განზრახ ხელყოფა, ქურდობა ან/და დაზიანება/განადგურება, აკადემიის საკუთრებისათვის სერიოზული ზიანის მიყენება ან განადგურება;

3.4.9 დასაქმებისას აკადემიის ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა და არასწორი ინფორმაციის მიწოდება, უპირატესობის მოპოვების მიზნით, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დამსაქმებლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე;

3.4.10 აკადემიის ხელმძღვანელობის კონკრეტული მოთხოვნის საპასუხოდ არასწორი ან სახეცვლილი ინფორმაციის მიწოდება;

3.4.11 აკადემიასთან ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების არსებობის შემთხვევაში

შრომითი ურთიერთობა სხვა დაწესებულებასთან, აკადემიის ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე; ასევე აკადემიის პერსონალის სხვა დაწესებულებაში გადაბირების მცდელობა;

3.4.12 აკადემიის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების უხეში დარღვევა

3.4.13 მონაცემთა და ინტელექტუალურ საკუთრებათა დაცვის აკადემიისეული ნორმების უხეში დარღვევა;

3.4.14 სერიოზული ხასიათის დაშინება, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შევიწროვება და დისკრიმინაცია

3.4.15 ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების განმეორებითი მცდელობები, ასევე მათი გამოყენების მძიმე შემთხვევები, და მათი ზემოქმედების შეხედვად ქმედითუნარობის ან არასათანადო საქციელის შემთხვევები;

3.4.16 აკადემიის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემის, მონაცემთა ბაზის და საგამოცდო სისტემისათვის ზიანის მიყენების მცდელობა;

3.4.17 აკადემიური რეზულტატების, მათ შორის კვლევითი მონაცემების ფალსიფიკაცია, ფაბრიკაცია და არასწორი ინტერპრეტაცია;

3.4.18 აკადემიის ხელმძღვანელობის გონივრული და ლეგიტიმური მითითებების დია დაუმორჩილებლობა;

3.4.19 კონფიდენციალობის დარღვევა

3.4.20 აკადემიის აფილირებული კლინიკების შიდაგანაწესის, რეგულაციებისა და პროფესიული ვალდებულებების უხეში დარღვევა

3.4.21 სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სტუდენტს, მოვალეობის სათანადოდ შესრულებაში;

3.4.22 ნებისმიერი ქმედება, ან უმოქმედობა, რომელიც შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზი.

4. ბრალეულობის გამოძიება

4.1 სტუდენტის, აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან არამართლზომიერი ქმედების საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, იურიდიული სამსახურის უფროსი წარდგინებით მიმართავს რექტორს/დირექტორს *საგამოძიებო ოფიცრის დანიშვნის თაობაზე*, ბრალდების სპეციფიკის, სიმძიმის და გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც ჩაატარებს *წინასწარ მოკვლევას*.

4.2 *წინასწარი მოკვლევის* უპირველესი მიზანია, დაადგინოს, აქვს თუ არა ადგილი დისციპლინარულ დარღვევას და გადაცდომას. საკმარისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, საგამოძიებო ოფიცერი მოხსენების სახით ანგარიშს აბარებს იურიდიულ სამსახურს, რომელიც მიმართავს რექტორს/დირექტორს ადმინისტრაციული კომიტეტის შექმნის შესახებ.

4.3 გამოძიების პროცესში დაცული უნდა იქნეს როგორც მომჩივანი, ასევე მოპასუხე მხარის ინტერესები. დაუშვებელია კონფიდენციალობის დარღვევა და რომელიმე მხარის დისკრედიტაცია. გამოძიება უნდა ჩატარდეს დელიკატურად და ობიექტურად. იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო ოფიცერი ხედავს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს, ან არსებობს მისი მხრიდან მიკერძოების საფრთხე, საგამოძიებო ოფიცერი ვალდებულია განაცხადოს რექტორთან და მოითხოვოს მოვალეობისაგან გათავისუფლება.

5. სასჯელის ზომები და ეტაპები

5.1 არაფორმალური ეტაპი

5.1.1 მსუბუქი ხასიათის და მცირე დარღვევები, მითუფრო თუ ატარებენ პირველად

ხასიათს, განიხილება არაფორმალურად. საქმის მოსმენა იწარმოებს არაოფიციალურად, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქცევის მოწოდებული სტანდარტების შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავება პროფესიული ქცევის გაუმჯობესებისათვის. რეკომენდაციები მოპასუხე მხარეს მიეწოდება წერილობითი სახით.

5.1.2 მომჩივანი მხარის მიერ ცრუ ბრალდებისა და არასწორი ინფორმაციის მოწოდების გამოვლენის შემთხვევაში, მომჩივან მხარეს ეძლევა წერილობითი რეკომენდაციები, პროფესიული ქცევისა და ეთიკის კოდექსის რეკომენდაციების საფუძველზე.

5.1.3 არაფორმალური შეხვედრა არ წარმოადგენს დისციპლინარული ზომების ნაწილს და ატარებს მხოლოდ რეკომენდაციებისა სახეს რათა მოხდეს პროფესიული ქცევის სტანდარტების ამაღლება, თუმცა იმ შემთხვევებში, თუ არაფორმალური შეხვედრის შემდეგ სტუდენტი/პერსონალი არ ამჟღავნებს მისწრაფებას რეკომენდაციების პირნათლად შესრულებისა და პროფესიული ქცევის გაუმჯობესებისაკენ, საქმის მოსმენა შესაძლოა განახლდეს უკვე სათანადო ზომების მიღების მიზნით.

5.1.5 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის/პერსონალის ქცევა რჩება არადაამაკმაყოფილებელი, ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია დაუქვემდებაროს დამრღვევი დამატებით კონსულტაციებს ან ტრენინგს, რომლებზეც დამრღვევის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, საქმის მოსმენა განახლდება დისციპლინარული ზომების მიღების მიზნით.

5.2 ფორმალური დისციპლინური ქმედება და ზომები

5.2.1 დისციპლინური ქმედების აუცილებლობის დადგომისას, საგამომიებო ოფიცერის მიერ უნდა მოხდეს საქმის მასალების სრულყოფილად და ობიექტურად შეკრება საქმის განხილვამდე.

5.2.2 ფორმალური დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა დადგეს შემდეგ შემთხვევებში (მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება)

5.2.2.1 არსებული დარღვევების გამოსწორებისა და პრობლემის გადაწყვეტის არაფორმალური მცდელობების არაეფექტურობა,

5.2.2.2 სტუდენტის/პერსონალის მიერ წარსულში მიღებული გაფრთხილება, რომლის ვადაც არ არის ამოწურული გამოძიების წამოწყების მომენტისათვის,

5.2.2.3 პირველადი გადაცდომის სიმძიმე, რომლის გადაწყვეტაც არაფორმალური გზით არ არის მიზანშეწონილი.

5.2.3 როდესაც ადგილი აქვს სტუდენტის/პერსონალის მიმართ სერიოზულ ბრალდებას, რიგ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს მოვალეობის შეჩერება.

5.2.4 იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე არ გამოცხადდება თსა-ს მიერ დანიშნულ შეხვედრაზე ზედიზედ 2-ჯერ, თსა უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის, ადმინისტრაციული/პედაგოგიური პერსონალის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი და გადაწყვეტილება მიიღოს მოპასუხე მხარის დაუსწრებლად. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მოპასუხე მხარეს.

5.3 გაფრთხილებები

5.3.1 ადმინისტრაციული კომიტეტის შეხვედრის დასკვნით, დისციპლინარულ დარღვევას შესაძლოა შეესაბამოს შემდეგი სანქციები:

პირველი ხარისხის გაფრთხილება

მეორე ხარისხის, მკაცრი გაფრთხილება

მესამე ხარისხის, საბოლოო გაფრთხილება

5.3.2 კომპენსაცია, სტუდენტის ან/და პერსონალის წევრის მიერ აკადემიის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ან განადგურების შემთხვევაში. კომპენსაცია შესაძლოა დაკისრებულ იქნეს როგორც იზოლირებულად, ასევე კომბინაციაში სხვა სახის სანქციის ზომასთან ერთად.

5.3.3 სტუდენტის/პერსონალის წევრისათვის გაფრთხილების მიცემის შემთხვევაში, შესაბამისი ჩანაწერი განთავსდება პირად საქმეში, (სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტში) რომლის ამოღებაც მოხდება მხოლოდ გაფრთხილების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, ქცევის მოწოდებული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში. გაფრთხილების ხანგრძლივობის განსაზღვრა ხდება ინდივიდუალურად.

5.3.4 სანქციების ხანგრძლივობა და ხარისხი განისაზღვრება გადაცდომის სახიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, არსებული დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით.

5.3.5 გადაცდომა პერსონალის წევრის მხრიდან, რომელიც იმყოფება გამოსაცდელი ვადით და ხელშეკრულების დადების მომენტიდან არ არის გასული 6 თვეზე მეტი, ავტომატურად კლასიფიცირდება როგორც მესამე ხარისხის, საბოლოო გაფრთხილება.

5.3.6 კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს მოსმენიდან 5 დღის ვადაში, რის შესახებაც წერილობითი ფორმით ეცნობება დამრღვევს, რომელშიც შეჯამებულია შემდეგი პუნქტები: ძირითადი ბრალდება და კომიტეტის გადაწყვეტილება, დაკისრებული სანქცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გაფრთხილების ხანგრძლივობა,

გაფრთხილების მოქმედების პერიოდში ნებისმიერი შემდგომი გადაცდომის შედეგები, მათ შორის შემდგომი დისციპლინარული ზომები და საბოლოო გათავისუფლების შესაძლებლობა,

დამრღვევის მხრიდან გასაჩივრების უფლება და სააპელაციო პროცედურა.

5.4 იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დამრღვევის მხრიდან ხანგრძლივად არყოფნას, გაფრთხილების პერიოდი შეჩერებულ იქნება არყოფნის პერიოდში და განახლება მას შემდეგ, რაც სტუდენტი/პერსონალი დაუბრუნდება სასწავლო პროცესს/პროფესიულ მოღვაწეობას.

6. უფლებამოსილების შეწყვეტა/დათხოვნა

6.1 რიგ შემთხვევებში, როდესაც განიხილება პერსონალის წევრის/სტუდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის და დათხოვნის საკითხი, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა მიზანშეწონილად ჩაითვალოს მისი უფლებამოსილების დროებით შეჩერება, გამოძიების დასრულებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შესახებაც მოპასუხე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით.

6.2 მოპასუხე მხარე ინფორმირებული უნდა იყოს როგორც ბრალდების არსის, წინასწარი მოკვლევის შედეგების და დისციპლინარული მოსმენის შესაძლო გამოსავლების, მათ შორის დათხოვნისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

6.3 საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თითოეული შემთხვევა განხილული უნდა იყოს ინდივიდუალურად, არსებული საბუთების, გარემოებებისა და არგუმენტების გათვალისწინებით, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

6.4 რიგ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს უხემ გადაცდომას და არსებობს შესაბამისი დასაბუთება, შესაძლოა მოხდეს დამრღვევის დათხოვნა წინასწარი გაფრთხილებისა და ფინანსური კომპენსაციის გარეშე.

6.5 დისციპლინარული მოსმენის დასკვნა და გასაჩივრების შესაძლებლობები უნდა ეცნობოს მოპასუხე მხარეს წერილობით გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევებში, როდესაც მიღებულ იქნა დამრღვევი პერსონალის წევრის/სტუდენტის დათხოვნის გადაწყვეტილება, წერილობით ზედმიწევნით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული დათხოვნის მიზეზი და გარემოებები.

7. გასაჩივრება

7.1 მოპასუხე მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს ოფიციალური გაფრთხილება და სხვა სანქციის ზომა, მათ შორის დათხოვნის გადაწყვეტილება.

7.2 გასაჩივრების მიზნით, მოპასუხე მხარე ვალდებულია წერილობით მიმართოს ხარისხის მართვის სამსახურს, დისციპლინარული მოსმენის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც სამსახურის უფროსი მსვლელობას მისცემს საქმეს და გადასცემს ადმინისტრაციულ კომიტეტს ხელახალი მოკვლევისათვის.

7.3 გასაჩივრების მოთხოვნის წერილი ნათლად უნდა აღწერდეს გასაჩივრების საფუძვლებს, მათ შორის მოპასუხე მხარის გამამართლებელ არგუმენტებს, შემამსუბუქებელ გარემოებებს და არსებობის შემთხვევაში, ხარვეზებს წინასწარი მოკვლევის ან/და გამოძიების პროცესში.

7.4 სააპელაციო მოსმენა ინიშნება გასაჩივრების მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რომლის განმავლობაშიც, გასაჩივრებული გადაწყვეტილება რჩება ძალაში.

7.5 სააპელაციო მოსმენის თარიღი და საჭირო დოკუმენტთა ნუსხა, რომელთა წარმოდგენაც შეუძლია მოპასუხეს, უნდა ეცნობოს წერილობით, დანიშნულ დღემდე 3-5 სამუშაო დღით ადრე.

7.6 სააპელაციო მოსმენა შესაძლოა ატარებდეს სრულ ან ნაწილობრივ სახეს, გამომდინარე ბრალდების სიმძიმის და გადაწყვეტილების სიმკაცრიდან.

7.7 სააპელაციო მოსმენის შედეგი, გამომდინარე მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციიდან და მტკიცებულებებიდან შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად: მიმდინარე გადაწყვეტილების გაუქმება, შემსუბუქება ან ძალაში დატოვება. სააპელაციო მოსმენის გადაწყვეტილება საბოლოო ხასიათს ატარებს და ხელახალ გადახედვას აღარ ექვემდებარება.

7.8 სააპელაციო მოსმენის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მოპასუხე მხარეს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

8. აკადემიური გადაცდომების პრევენცია

8.1 აკადემიური გადაცდომის პრევენცია წარმოადგენს თსა-ს აკადემიური მთლიანობის პოლიტიკის ნაწილს.

8.2 აკადემიური გადაცდომის პრევენციის მიზნით, აკადემია ახორციელებს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტების და მკვლევარების მუდმივ ინფორმირებას, აკადემიაში არსებული ეთიკური სტანდარტებისა და მოღვაწეობის ნორმების შესახებ.

8.3 აკადემიას აქვს უფლება, შესაძლო გადაცდომების თავიდან აცილების მიზნით, შეაფასოს პერსონალის/სტუდენტის ეთიკური ცნობიერების დონე და არასათანადო შედეგების გამოვლენის შემთხვევაში, მოახდინოს მათი ცნობიერების ამაღლება ტრენინგისა და მაღალეთიკური ქცევათა ნორმების წახალისების გზით.

9. გადახედვის პროცედურა

9.1 აკადემიური ქმედებისა და ეთიკის კოდექსი, ასევე პროცედურული ნაწილი ექვემდებარება გადახედვას 6 წელიწადში ერთხელ, შემდგომი სრულყოფის მიზნით.

დანართი ა - დისციპლინური და სააპელაციო პროცედურების ფორმალური განხილვის ჩატარების პროცედურა და უფლებამოსილების დონეები:

ა.1 ტერმინი *საგამოძიებო ოფიცერი* - გამოიყენება აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის წევრის მიმართ, რომელსაც ნიშნავს იურიდიული სამსახური და რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენს გადაცდომის ფაქტის დადგენა და წინასწარი მოკვლევის ჩატარება.

ა.2 *ადმინისტრაციული კომიტეტი* - წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აერთიანებს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და საფინანსო პერსონალს, ასევე სასწავლო და კვლევითი ცენტრებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს. კომიტეტის წევრთა ოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 10 წევრისა. საბჭოს მოწვევა შესაძლებელია როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი შემადგენლობით და დამოკიდებულია გადაცდომის სიმძიმესა და ხასიათზე. ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის მიმართვის საფუძველზე. კომიტეტის სრული შემადგენლობის გადახედვა წარმოებს წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის დასაწყისში.

დანართი ბ - დისციპლინარული და სააპელაციო პროცედურების წარმოების ძირითადი პრინციპები.

ბ.1 პრინციპები და განმარტებები:

ბ.1.1 დისციპლინარული ზომები არ იქნება მიღებული საქმის საფუძვლიანი განხილვისა და დასკვნის მიღებამდე.

ბ.1.2 დისციპლინარულ პროცედურას შესაძლოა ჰქონდეს არაფორმალური ან ფორმალური მიმდინარეობა, გამომდინარე ბრალდების ხარისხისა და სიმძიმისა.

ბ.1.3 პირველი გაფრთხილების შემდეგ, გარდა გამონაკლისი უმძიმესი შემთხვევებისა, სანქციის ზომად არ განიხილება უფლებამოსილების შეწყვეტა/დათხოვნა.

ბ.1.4 პერსონალის წევრს აქვს უფლება, გაასაჩივროს ფორმალური განხილვის შედეგები, მათ შორის უფლებამოსილების შეწყვეტა/დათხოვნის გადაწყვეტილება. პერსონალის წევრს ამ უფლების შესახებ უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ.

ბ.1.5 ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა გადაწყვეტილების მიღებაში, ავტომატურად მოიხსნება ადმინისტრაციული კომიტეტის სააპელაციო შემადგენლობიდან.

ბ.2 თანხლების უფლება

ბ.2.1 პერსონალის წევრს აქვს უფლება, ფორმალურ განხილვის პროცესზე, რომელიც შესაძლოა დასრულდეს ფორმალური გაფრთხილებით, უფლებამოსილების შეწყვეტა/დათხოვნით ან გაფრთხილების ან დათხოვნის დადასტურებით, იყოლოს თანხლები პირი.

ბ.2.2 თანხლები პირი შესაძლოა იყოს აკადემიის ადმინისტრაციული ან პედაგოგიური პერსონალის წევრი, აქტიური სტუდენტი ან აკადემიის შიდა ორგანიზაციული ერთეულის წევრი.

ბ.3. ფორმალური განხილვის პროცესის ორგანიზება და ჩატარების პრინციპები

ბ.3.1 თუ მოხდა ფორმალური შეხვედრის მოწვევა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ფორმალური გაფრთხილება ან გათავისუფლება, მოპასუხეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განიხილოს ბრალდების საკითხები და დაიცვას საკუთარი პოზიცია. საქმის მოსმენის შესახებ მოპასუხეს უნდა ეცნობოს წერილობით, შეხვედრამდე მინიმუმ 3 და არაუმეტეს 5 სამუშაო დღით ადრე, გამომდინარე ბრალდების სიმძიმისა.

ბ.3.2 მოპასუხეს უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

1.	ფორმალური შეხვედრის თარიღი, დრო და ადგილმდებარეობა
2.	ბრალეულობის აღწერა და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლის განხილვაც მოხდება ფორმალურ შეხვედრაზე
3.	შეხვედრის ხელმძღვანელი/ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის ვინაობა, ან ვინაობა პირისა, ვინც ჩაატარებს შეხვედრას
4.	მოწმეთა ვინაობა, მათი არსებობის შემთხვევაში
5.	მოპასუხის უფლება, იყოლოს თანმხლები პირი
6.	განხილვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც შესაძლოა გამოადგეს მოპასუხე მხარეს.

ბ.3.3 ადმინისტრაციული საქმის მოსმენამდე ორი დღით ადრე მოპასუხემ უნდა წარადგინოს ადმინისტრაციულ კომიტეტში შემდეგი ინფორმაცია:

1.	ასეთის არსებობის შემთხვევაში, თანმხლები პირის ვინაობა და თანამდებობა
2.	მტკიცებულებანი ან/და დოკუმენტები, რომელთაც დაყრდნობა მოპასუხე
3.	მოწმეთა ვინაობა, ასეთთა არსებობის შემთხვევაში.

ბ.3.4 მოპასუხის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ან სხვა დასაბუთებული საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (უახლოესი ნათესავის გარდაცვალება), მოპასუხემ უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ კომიტეტს წერილობით (დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია, გაამყაროს მტკიცებულებებით) და ითხოვოს ადმინისტრაციული მოსმენის გადავადება.

ბ.3.5 დისციპლინარულ სხდომაზე ხდება სავარაუდო გადაცდომის განხილვა და მტკიცებულებათა განხილვა. ადმინისტრაციული სხდომის ხელმძღვანელი ვალდებულია განიხილოს პერსონალის წევრის წიმააღმდეგ გაკეთებული ბრალდებები და წარმოგენილი მტკიცებულებები. საგამომიებო ოფიცერი, რომელიც ატარებდა მოკვლევას, წარადგენს ანგარიშს ჩატარებული მოკვლევის შესახებ. მოპასუხეს ეძლევა საშუალება, დაიცვას საკუთარი პოზიცია და წარმოადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებანი.

ბ.3.6 იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეორე მხარის საკვანძო მოწმე საპატიო მიზეზით ვერ ესწრება საქმის განხილვას, შესაძლებელია განხილვის გადადება არაუმეტეს 5 დღის ვადით.

ბ.3.7 პროცესში მონაწილე ორივე მხარეს აქვს უფლება დაუსვას შეკითხვები წარმოდგენილ მოწმეებს.

ბ.4. ფორმალურ განხილვის პროცესზე გამოცხადებლობა

ბ.4.1 იმ შემთხვევაში, თუ პერსონალის წევრი, მოპასუხე, ვერ ახერხებს ფორმალურ განხილვის პროცესზე გამოცხადებას საპატიო მიზეზის და წინასწარი ინფორმირების გარეშე, ადმინისტრაციული შეხვედრა ჩატარდება დანიშნულ დროს, არსებული მტკიცებულებების გამოყენებით. ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილება მოპასუხეს ეცნობება წერილობით.

ბ.4.2 აკადემიის პერსონალის ნებისმიერი წევრი და სტუდენტი ვალდებულია კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ კომიტეტთან.

ბ.5. სტატუსის შეჩერება

ბ.5.1 პერსონალის წევრის ან სტუდენტის მიმართ გადაცდომის ბრალდების შემთხვევაში, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ბრალდებულის უფლებამოსილების შეჩერება. შეჩერება არ წარმოადგენს დისციპლინარულ ზომას და წარმოებს, რათა არსებული

ბრალდების გამოძიება მოხდეს მაქსიმალურად ობიექტურად და გაჭიანურების გარეშე. შეჩერება შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს შემდეგ შემთხვევებში:

1. პერსონალის წევრს ან სტუდენტს შეუძლია ჩაერთოს, გავლენა იქონიოს ან ხელი შეუშალოს მოკვლევას
2. თუ არსებობს ბრალდებულსა კოლეგებს, სტუდენტებს ან აკადემიის ხელმძღვანელობას შორის დაძაბულობა ან სხვა სახის სირთულე ურთიერთობაში, რომელიც შესაძლოა გაძლიერდეს ბრალდებულის სამუშაო ადგილზე/სასწავლო გარემოში გამოცხადების შემთხვევაში
3. თუ ბრალდებულის აკადემიაში ყოფნა ხელს შეუშლის აკადემიის პერსონალს ან/და სტუდენტებს, მოახდენს აკადემიის საქმიანობის კომპრომიტირებას და შეეწინააღმდეგება აკადემიის ზრუნვის ვალდებულებას.
4. თუ ბრალდებულის არყოფნა აკადემიის ტერიტორიაზე აუცილებელია აკადემიის ინტერესების დასაცავად, მათ შორის უსაფრთხოების, ფინანსური და ა.შ.

ბ.5.2 აღნიშნულ შემთხვევებში, პერსონალის წევრს უნარჩუნდება ანაზღაურება. მიუხედავად მოვალეობის შეჩერებისა პერსონალის წევრი ვალდებულია იმყოფებოდეს მჭიდრო კავშირში და ზედმიწევნით ასრულებდეს ადმინისტრაციული კომიტეტის მითითებებს.

ბ.2.5.3 შეჩერების შემთხვევაში, ფორმალური განხილვის ჩატარებამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე, ადმინისტრაციული კომიტეტი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა და აწარმოოს მოკვლევა დელიკატური სახით.

ბ.2.5.4 შეჩერების მთავარი მიზანია, შესაძლებელი გახადოს სრულყოფილი მოკვლევის ჩატარება შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების მიზნით და განსაზღვროს, აქვს თუ არა ადგილი გადაცდომას, შესაძლებელია თუ არა არაფორმალური გზით მისი მოგვარება და მართებულია თუ არა ადმინისტრაციული კრების მოწვევა. შეჩერების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირი ადამიანური რესურსების დეპარტამენტთან კონსულტაციით და აკადემიის რექტორის თანხმობით.

ბ.2.5.5 რიგ შემთხვევებში, გარემოებებიდან გამომდინარე, შეჩერების ალტერნატივად შესაძლოა გამოყენებული იქნას შემდეგი დროებითი ღონისძიებები: დამატებითი ზედამხედველობა, უფლებამოსილების შეზღუდვა და ა.შ.

ბ.2.5.6 შეჩერების დროს შეჩერების მიზეზი და პირობები ეცნობება პერსონალის წევრს/სტუდენტს წერილობით. წერილობითი ფორმით ინფორმაციის მღება ავტომატურად ადასტურებს შეჩერების აქტს. შეჩერების აქტი უნდა ატარებდეს მინიმალურ ხასიათს და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ მიზნებს.

დანართი გ

გ.1 ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის როლი

გ.1. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს დისციპლინური პროცესის მხარდაჭერას, რაც მოიცავს საქმესთან დაკავშირებულ კონსულტაციას. ასევე უზრუნველყოფს დისციპლინარულ შეხვედრაზე ჩანაწერების გაკეთებას და ნიშნავს შესაბამის პირს ამ როლისათვის.

გ.2 იმ შემთხვევებში, როდესაც განიხილება ადმინისტრაციის წევრის მმართველი რგოლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი, მოკვლევის ოფიცერმა კონსულტაცია უნდა გაიაროს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან.

გ.3 იმ შემთხვევებში, როდესაც განიხილება სტუდენტის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი, ადამიანური რესურსების მენეჯერის როლს საგამომიებო პროცესში შეასრულებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.